სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის

ბრძანება

ქ. თბილისი

MES 0 21 0000995991

29/09/2021

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის 2021 წლის საშემოდგომო მიღებაზე მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩასარიცხად წარსადგენი დოკუმენტაციის ვადების განსაზღვრის შესახებ.

,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, „პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისი №42/ნ ბრძანების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 21 სექტემბრის MES 5 21 0000958546 ბრძანების და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების საფუძველზე

ვბრძანებ:

1. აპლიკანტებმა, რომლებიც 2021 წლის საშემოდგომო მიღებაზე პროფესიული ტესტირების ან/და მოტივაციური გასაუბრების, შემოქმედებითი ტურის საფუძველზე მოიპოვებენ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლის გაგრძელების უფლებას, 2021 წლის 01 ოქტომბრიდან 07 ოქტომბრის ჩათვლით 10:00 საათიდან 18:00 საათამდე უნდა წარმოადგინონ ჩასარიცხად საჭირო დოკუმენტაცია (იხ. დანართი №1).
2. რეგისტრაციისათვის საჭირო დოკუმენტაცია წარმოდგენილ იქნეს შესაბამის ფაკულტეტზე, დასვენებისა და უქმე დღეების გარდა (იხ.დანართი №2).
3. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს სტუ-ს უწყვეტი განათლებისა და კარიერული განვითარების დეპარტამენტის უფროსს (ე. კვესიტაძე).
4. ბრძანების გაცნობა დაინტერესებული პირებისათვის დაევალოს უნივერსიტეტის საქმისწარმოების დეპარტამენტს.

5. ბრძანება გამოიკრას თვალსაჩინო ადგილებზე და განთავსდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 (ერთი) თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N64).



რექტორი
გურგენიძე დავით